

მატერიალურ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა, როგორც ეროვნული
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის
საფუძველი (ქართული სამართლის შედარებითი ანალიზი)

ლევან მესხია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან მესხია

01/07/2019

აბსტრაქტი

არბიტრაჟის ინსტიტუტი მთლიანად მხარეთა ავტონომიაზეა აგებული. არბიტრაჟში მხარეები თავად ირჩევენ დავის განმხილველ არბიტრს, დავის განხილვის ადგილსა და ენას, დავის განხილვის პროცედურას, წარმომობილი ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართალს და სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს. სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო კონტროლის ძირითად ფორმას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ინსტიტუტი წარმოადგენს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას სასამართლო, ძირითადად, ფორმალური საკითხების შემოწმებით შემოიფარგლება. მატერიალურ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა წარმოადგენს იმ ერთადერთ საფუძველს, რისი შემოწმების მიზნითაც სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივი ნაწილის შეფასებაში შესვლა შეუძლია.

ნაშრომის მიზანია, დადგინდეს თუ როგორ განისაზღვრება საჯარო წესრიგის როლი საქართველოში ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას, როგორია მისი საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომში ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა გაანალიზებულია საერთაშორისო ჭრილში - ვინაიდან ქართული კანონმდებლობა ეფუძნება UNCITRAL-ის „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელურ კანონს, ნაშრომში ქართული სასამართლო პრაქტიკა შედარებულია იმ ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკასთან, რომელთა კანონმდებლობაც, ასევე, UNCITRAL-ის მოდელურ კანონს ეფუძნება ანდა მისი მსგავსია.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართული კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას, ქართულ სასამართლოებს უჭირთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კერძო პირთა ავტონომია, ADR, არბიტრაჟი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ცნობა-აღსრულება, საჯარო წესრიგი, სასამართლო.

Abstract

Arbitration is built on the autonomy of the parties. In arbitration, Parties have right to select dispute arbitrator, the seat and language of the dispute, the procedure of the dispute, governing law and other important legal issues. The main form of arbitration control by the state is the Institute of Recognition and Enforcement of Arbitral Award. During the process of Recognition and enforcement of the arbitral award, Court is mainly limited by the examination of formal matters. Contradiction to the material public policy is the sole basis for the examination of the contents of Arbitral Award.

The purpose of the work is to determine the role of public policy during the process of Recognition and Enforcement of domestic arbitral awards in Georgia, what is its legislative regulation and judicial practice. In the work Georgian legislation and judicial practice is analyzed in international context - since Georgian legislation is based on the UNCITRAL model law on International Commercial Arbitration, Georgian judicial practice is compared to the practices of the countries in which the legislation is also based on the UNCITRAL model law.

As a result of the research, it is established that Georgian legislation is fully compatible with international standards, which cannot be said about the Georgian Judicial practice. During the process of the Recognition and Enforcement of the arbitral award, Georgian courts find it difficult to define their functions, Furthermore the unsubstantiated decisions made by the courts remains as one of the vital problems.

Primary searching Keywords: Party autonomy, ADR, arbitration, arbitral award, recognition and enforcement, public policy, court.